

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა მობილობის ელექტრონული პორტალის წარმოების წესი (N88/01-01, 07.06.2016)

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 28 დეკემბრის №208/ნ ბრძანებით დამტკიცებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა“, „ბ“, „ს“ „ტ“ ქვეპუნქტების, მე-3 პუნქტისა და თსუ-ს აკადემიური საბჭოს 2011 წლის 25 ივლისის №77/2011 დადგენილებით დამტკიცებული „ა(ა)იპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის“ მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს სსიპ–ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა მობილობის ელექტრონული პორტალის წარმოების წესი ([დანართი №1](#)). (N88/01-01, 07.06.2016)
2. ბრძანების უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების უზრუნველყოფისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტს.
3. ბრძანების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსებისა და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულებისათვის გადაცემის უზრუნველყოფა დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.
4. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა მობილობის ელექტრონული პორტალის წარმოების წესი (N88/01-01, 07.06.2016)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ–ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა მობილობის ელექტრონული პორტალი (შემდგომში - „ელექტრონული პორტალი“) აერთიანებს სასწავლო პროცესის მართვის სისტემაში (შემდგომში - „რეესტრი“) ასახულ და შიდა მობილობის პროცესის მონაწილეთა მიერ რეგისტრირებულ მონაცემებს. (N88/01-01, 07.06.2016)
2. ელექტრონული პორტალი უზრუნველყოფს შიდა მობილობის პროცესის ყველა მონაწილისთვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებას, მობილობის პროცესის გამჭვირვალედ ჩატარებასა და სტუდენტის მიერ მობილობის განხორციელების ხელშეწყობას.
3. ელექტრონულ პორტალზე მონაცემების ასახვა ხდება „სსიპ–ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საგანმანათლებლო ერთეულიდან/პროგრამიდან სხვა საგანმანათლებლო ერთეულზე/პროგრამაზე გადასვლის წესის“ შესაბამისად. (N88/01-01, 07.06.2016)
4. ელექტრონული პორტალის ადმინისტრირებას უზრუნველყოფენ სასწავლო პროცესის მართვისა და ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტები.

მუხლი 2. საგანმანათლებლო ერთეულის მიერ ელექტრონულ პორტალზე შესატანი ინფორმაცია

1. ელექტრონული პორტალის სათანადო ველებში მონაცემების შეტანას უზრუნველყოფს შესაბამისი საგანმანათლებლო ერთეული. ელექტრონული პორტალით სარგებლობისას საგანმანათლებლო ერთეული იყენებს ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და ოპერაციების მართვის დეპარტამენტის მიერ მინიჭებულ მომხმარებლის ინდივიდუალურ სახელსა და პაროლს.
2. საგანმანათლებლო ერთეულის მიერ რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში ელექტრონული პორტალზე რეგისტრირდება:
 - ა) მისაღებ სტუდენტთა ადგილების რაოდენობა უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.
 - ბ) საგანმანათლებლო პროგრამების ჩამონათვალი. (N88/01-01, 07.06.2016)
3. შიდა მობილობის ვაკანტური ადგილების პორტალზე რეგისტრაციის ვადის დასრულების შემდეგ რეგისტრირებულ მონაცემებში ცვლილების შეტანა დაუშვებელია.

მუხლი 3. შიდა მობილობის მსურველის ელექტრონულ პორტალზე რეგისტრაცია

1. შიდა მობილობის მსურველი ელექტრონულ პორტალზე რეგისტრირდება პირადობის მოწმობის თერთმეტნიშნა საიდენტიფიკაციო ნომრის (პირადი ნომერი) მეშვეობით და სურვილის შემთხვევაში, განსაზღვრავს პრიორიტეტებს იმ საგანმანათლებლო ერთეულების ან პროგრამების მიხედვით, რომლებზეც სურს შიდა მობილობის წესით გადასვლა.

2. სტუდენტის პირადი მონაცემები ელექტრონულ პორტალზე აისახება ავტომატურად, სასწავლო პროცესის მართვის სისტემის მონაცემების შესაბამისად. იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ელექტრონული რეგისტრაციის მომენტისათვის ირიცხება ერთდროულად ორ ან მეტ საგანმანათლებლო პროგრამაზე, ელექტრონული პორტალის შესაბამისი შეტყობინების შემდეგ ვალდებულია მიუთითოს, თუ რომელი საგანმანათლებლო ერთეულიდან/პროგრამიდან სურს შიდა მობილობის წესით გადასვლა.

3. თსუ-ს შესაბამისი სამართლებრივი აქტებით შიდა მობილობის უფლების არმქონე პირთა ელექტრონული განაცხადები პორტალზე არ რეგისტრირდება.

მუხლი 4. შიდა მობილობის გადასვლის უფლების მქონე პირთა განსაზღვრა

შიდა მობილობის მსურველთა განაცხადების რეგისტრაციის ვადის დასრულების შემდეგ, მობილობის მსურველ პირთათვის, ელექტრონული პორტალის მეშვეობით ინდივიდუალურად ცნობილი ხდება შიდა მობილობის შედეგი შესაბამისი საგანმანათლებლო ერთეულების ან პროგრამების მიხედვით.

მუხლი 5. ელექტრონულ პორტალზე რეგისტრირებული მონაცემების კონტროლი

სასწავლო პროცესის მართვის დეპარტამენტი უფლებამოსილია განახორციელოს ელექტრონულ პორტალზე რეგისტრირებული მონაცემების გადამოწმება და უზუსტობის გამოვლენის შემთხვევაში მოსთხოვოს საგანმანათლებლო ერთეულს შესაბამისი მონაცემების შესწორება.